

ძალაშია 1997 წლის 8 მაისიდან

შეთანხმება

საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის გარემოს დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ

საქართველოს მთავრობა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობა, შემდგომში მხარეებად წოდებულნი,

ხელიმძვანელობენ რა საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის 1996 წლის 8 მარტის ხელშეკრულებით მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთუშიშროების განმტკიცების შესახებ,

ანიჭებენ რა დიდ მნიშვნელობას თანამშრომლობას გარემოს დაცვის სფეროში,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

მხარეები განახორციელებენ თანამშრომლობას სუვერენული თანასწორობისა და ერთმანეთის ინტერესების პატივისცემის, მოქალაქეთა ეკოლოგიურად სუფთა გარემოში ჯანმრთელი ცხოვრების წესზე უფლების დაცვის პირიციპებზე.

მუხლი 2

მხარეები დაამყარებენ ურთიერთკავშირს გარემოს მდგომარეობის მონიტორინგის ეროვნულ სისტემებსა და მონაცემების ბანკებს შორის.

მუხლი 3

მხარეები შეეცდებიან გამოიყენონ გარემოს მდგომარეობის კონტროლისა და ხარისხის შეფასების ერთიანი მიდგომა, კრიტერიუმები, მეთოდები და პროცედურები.

მუხლი 4

მხარეები ითანამშრომლებენ გარემოს დაცვის გლობალური და რეგიონალური პრობლემების გადაჭრისას, მათ შორის სათბურის ეფექტის თავიდან აცილებაში, რაც დაკავშირებულია იმ გაზების გამოცხორცნასთან, რომლებიც უარყოფითად გემოქმედებენ ოზონის შრეს და კლიმატის ცვლილებებზე.

მუხლი 5

მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, მხარეები ითანამშრომლებენ რესურსების შემნახავი და ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების სრულყოფის, დანერგვის, გადაცემისა და ადაპტაციების სფეროში, ჩააგარებენ ერთობლივ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს, დაამუშავებენ და განახორციელებენ ბუნების დაცვის მოკლე და გრძელვადიან ერთობლივ პროგრამებს.

მუხლი 6

სათანადოდ აფასებენ რა მდინარე მტკვრისა და ჯანდარის (ჯანდარგელის) ტბის მნიშვნელობას ორივე სახელმწიფოს სახალხო-სამეურნეო კომპლექსებისა და მოსახლეობისათვის, მხარეები გააერთიანებენ თავიანთ ძალისხმევას მათი აუზების დაჭუჭყიანებისაგან დაცვის, ისევე როგორც წყლის რესურსების რაციონალური გამოყენების მიზნით.

მუხლი 7

მხარეები მიიღებენ საჭირო ზომებს და უზრუნველყოფენ ფრინველებისა და ძუძუმწოვრების მიგრაციული სახეობების, ასევე მათი სამიგრაციო გზების დაცვას.

მუხლი 8

მხარეები ითანამშრომლებენ საზღვრისპირა ეკოსისტემების დაცვისა და რეგულირების საკითხებში იმ მონაკვეთებზე, რომლებიც განიცდიან არაკეთილგანწყობილ ანთროპოგენურ ზემოქმედებას და მიიღებენ ზომებს მათი სიცოცხლისუნარიანობის აღდგენისა და უზრუნველყოფისათვის.

მუხლი 9

ტექნოგენური ავრიებისა და სტიქიური უბედურებების შედეგად საგანგებო ეკოლოგიური სიტუაციების წარმოშობის შემთხვევებში მხარეები ოპერატიულად მიაწვდიან ერთმანეთს ინფორმაციას უარყოფითი გრანსასაზღვრო ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით და განახორციელებენ გადაუდებელ ზომებს მათი ლიკვიდაციისათვის.

მუხლი 10

გრანსასაზღვრო გადაზიდვების რეგულირების მიზნით მხარეების კომპეტენტური ორგანოები აწარმოებენ თავიანთი მოქმედების კოორდინაციას საბაჟო სამსახურებსა და სახელმწიფო ხელისუფლების სხვა დაინტერესებულ ორგანოებთან შემდეგი მიმართულებებით:

– ბუნებრივი რესურსების (სასარგებლო წიაღისეულის, ხე-ტყის მასალების, სამკურნალო მცენარეული ნედლეულისა და სხვა) გრანსასამღვრო გადაზიდვები;

– საწარმოო ნარჩენებისა და მეორადი ნედლეული მასალების გრანსასამღვრო გადაზიდვები;

– გადაშენების მღვარზე მღვარი მცენარეების, ცხოველების, ფრინველების სხვადასხვა სახეობების, მათი ნაწილებისა ან პროდუქტების გრანსასამღვრო გადაზიდვები.

მუხლი 11

მხარეები გამოავლენენ ერთობლივი ბუნებისდაცვითი მიმართულების ინიციატივებით მოსამღვრე ქვეყნებში, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ფორუმებში, ჩააგარებენ ერთობლივ კონსულტაციებს საერთაშორისო ორგანიზაციების ჩარჩოებში მიღებული ეკოლოგიური პროგრამებისა და პროექტების რეალიზაციისათვის.

მუხლი 12

მხარეები კოორდინირებას გაუწევენ თავიანთ მოქმედებებს და გაცვლიან ინორმაციას ვარემოს დაცვის სფეროში.

მუხლი 13

მხარეები ჩააგარებენ რეგულარულ შეხვედრებს, ერთობლივ საექსპერტო და საკონსულტაციო სამუშაოებს ამ შეთანხმებების დებულებებიდან გამომდინარე სამუშაოების ორგანიზაციისა და შესრულების, თანამშრომლობის პროგრამებისა და გეგმების რეალიზაციის, ამ მიმართულებით მუშაობის მდგომარეობის ანალიზის ჩაგარების თაობაზე გადაწყვეტილებების მიღების მიზნით.

მუხლი 14

მხარეები ვალდებულებას კისრულობენ ითანამშრომლონ ეკოლოგიური აღზრდის, განათლებისა და საზოგადოებრიობასთან მუშაობის სფეროში. ამ მიზნით ისინი გაცვლიან გამოცდილებას, ჩააგარებენ ერთობლივ სემინარებს, კონფერენციებს, პერსონალის სწავლებას.

მუხლი 15

მხარეები მიაწვდიან ერთმანეთს ინფორმაციას ნებისმიერი წამოჭრილი პირობების შესახებ, რომლებიც ხელს უშლიან აღებული ურთიერთვალდებულებების შესრულებას და შეუთანხმებენ ერთმანეთს მათი აღმოფხვრის ზომებს.

მხარეთა შეთანხმებით, ამ შეთანხმების დებულებებში შეიძლება შეტანილ იქნას ცვლილებები ან დამატებები.

მუხლი 16

ამ შეთანხმების შესრულებაზე პასუხისმგებელი კომპეტენტური ორგანოები არიან:

საქართველოში – გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო;

აზერბაიჯანის რესპუბლიკაში – ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობაზე კონტროლის სახელმწიფო კომიტეტი.

მუხლი 17

ეს შეთანხმება არ ეხება მხარეების უფლებებსა და ვალდებულებებს, რომლებიც გამომდინარეობენ მესამე მხარეებთან დადებული, შეთანხმებებიდან.

მუხლი 18

ეს შეთანხმება ძალაში შედის უკანასკნელი წერილობითი შეცვლილების თარიღიდან, რომელიც ადასტურებს მხარეების მიერ მისი ძალაში შესვლისათვის აუცილებელი სათანადო შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების შესრულებას და იმოქმედებს ხუთი წლის განმავლობაში. შეთანხმების მოქმედება ავტომატურად გაგრძელდება შემდგომი ხუთწლიანი პერიოდების განმავლობაში, თუ მისი მოქმედების ვადის გასვლამდე ექვსი თვით ადრე არცერთი მხარე არ აცნობებს მეორე მხარეს თავისი განზრახვის შესახებ შეწყვიტოს მისი მოქმედება.

შესრულებულია ქ. ბაქოში 1997 წლის 18 თებერვალს ორ ნამდვილ პირად, ქართულ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე, ამასთან ორივე გექსტი ყველა გექსტი თანაბრად ავთენტურია.

ამ შეთანხმების დებულებების განმარტების მიზნით გექსტს რუსულ ენაზე აქვს უპირატესი ძალა.

საქართველოს
მთავრობის სახელით

აზერბაიჯანის რესპუბლიკის
მთავრობის სახელით